ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი
№1

ქ. ქუთაისი

19 თებერვალი 2015 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

ნოდარ მიქიაშვილი – ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე.

კონსტანტინე ქავთარაძე – ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

ირაკლი ავალიანი – ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი.

მალხაზ ბასილაძე – ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობის, ტრანსპორტისა და დასუფთავების სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი.

ირაკლი გიორგაძე – ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი, კომისიის წევრი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი : კონკურსის მეშვეობით, ქალაქ ქუთაისში სოლომონ პირველის ქუჩის მიმდებარედ ე.წ. „ხარაზოვის სკვერში“ შადრევნისა და სკვერის რეაბილიტაციის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (საკონკურსო წინადადების თანხა 3000 (სამი ათასი) ლარი) შესყიდვის შესახებ.

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის წევრმა ირაკლი ავალიანმა კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგთან დაკავშირებით – საკონკურსო განცხადების და საკონკურსო დოკუმენტაციის - ქალაქ ქუთაისში სოლომონ პირველის ქუჩის მიმდებარედ ე.წ. „ხარაზოვის სკვერში“ შადრევნისა და სკვერის რეაბილიტაციის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (საკონკურსო წინადადების თანხა 3000 (სამი ათასი) ლარი) შესყიდვის პროექტი.

აზრი გამოთქვეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ: ნოდარ მიქიაშვილმა.
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ: კონსტანტინე ქავთარაძემ.
კომისიის წევრმა: მალხაზ ბასილაძემ.

დაადგინეს:

1. დამტკიცდეს საკონკურსო კომისიის მიერ, ქალაქ ქუთაისში სოლომონ პირველის ქუჩის მიმდებარედ ე.წ. „ხარაზოვის სკვერში“ შადრევნისა და სკვერის რეაბილიტაციის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის სახელმწიფო შესყიდვისათვის წარმოდგენილი განცხადების და საკონკურსო დოკუმენტაციის პროექტი.
2. კონკურსი ჩატარდეს 2015 წლის 27 თებერვალს 12:30 საათზე.
3. საკონკურსო წინადადებების მიღების ვადად განისაზღვროს 2015 წლის 27 თებერვლის 10:00 საათიდან 12:00 საათამდე პერიოდი.
4. საკონკურსო წინადადებების მიღების ადგილად განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო პოლიტიკისა და

სახელმწიფო შესყიდვების სამსახური (მის: 4600, ქ. ქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ. №3, მე–3 სართული, ოთახი №323).

5. საკონკურსო განცხადება (თანდართული დოკუმენტებით) გამოქვეყნების მიზნით გაეგზავნოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მის ოფიციალურ ვებ–გვერდზე.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: ნოდარ მიქიაშვილი

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: კონსტანტინე ქავთარაძე

კომისიის წევრები:

ირაკლი ავალიანი

მალხაზ ბასილაძე

ირაკლი გიორგაძე